საქართველოს მთავრობის

დადგენილება №151

2021 წლის 2 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/12/2018, 010240030.10.003.020896) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ.მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ.მ) კავშირგაბმულობისა და უზრუნველყოფის ცენტრი;“.

2. მე-6 მუხლის:

ა) მე-16 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) ახორციელებს სამედიცინო უზრუნველყოფის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავებასა და მათი განხორციელების მონიტორინგს, სამედიცინო ქონებითა და სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფის დაგეგმვასა და მათ მიმოქცევაზე კონტროლს, ასევე სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შეფასებასა და გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვას;“;

ბ) 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა ახორციელებს სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ლოჯისტიკურ მხარდაჭერას და სამედიცინო ქონებითა და სამკურნალწამლო საშუალებებით მომარაგებას, ლოჯისტიკური უზრუნველყოფისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლე და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 6 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**